

ვლადიმერ მუჯირი

ვლადიმერ მუჯირი 1907 წლის 15 ოქტომბერს ზუგდიდში დაიბადა. 1927 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1927-1930 წლებში სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. 1929 წელს “სახკინმრეწვში” დაიწყო მუშაობა. ვლადიმერ მუჯირი არის ქართული მულტიპლიკაციური ფილმების ფუძემდებელი. 1930 წელს მან შექმნა პირველი ქართული სააგიტაციო ფილმი “შორს აკვანი!”.

ვლადიმერ მუჯირის მიერ შექმნილი ფილმებია: “არგონავტები” (1936 წ.), “გაიძვერა” (1936), “ჩიორა” (1938, პირველი ქართული ფერადი მულტფილმი), “სამი მეგობარი” (1943), “გაზაფხულის სტუმრები” (1947), “მამაცი მთასვლელები” (1950, ა. ხინთიბიძესთან ერთად), „ფრთოსანი მეგობრები“ (1950), “ღარიბის ბედნიერება” (1953).

ვლადიმერ მუჯირი 1953 წლის 11 ივლისს 45 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ვლადიმერ მუჯირის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

ავტობიოგრაფია, კადრების აღრიცხვის ფურცელი, ანკეტა, შემოქმედებითი ბარათი, მანდატი

1. ვლადიმერ მუჯირის მოკლე ბიოგრაფია.

1939 წ. 14 იანვარი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

2. ვლადიმერ მუჯირის ავტობიოგრაფია.

1950 წ. 10 თებერვალი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

3. ვლადიმერ მუჯირის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.

1950 წ. 10 თებერვალი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. 4 გვ.

4. ვლადიმერ მუჯირის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.

1953 წ. 27 იანვარი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. რუსულ ენაზე. ერთვის ფოტო. 4 გვ.

5. ვლადიმერ მუჯირის ავტობიოგრაფია.

1953 წ. 27 იანვარი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

6. ვლადიმერ მუჯირის ავტობიოგრაფია.

უთარილო ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

7. ვლადიმერ მუჯირის ანკეტა.

უთარილო. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

8. ვლადიმერ მუჯირის შემოქმედებითი ბარათი.

უთარილო. ბლანკი. ხელით შევსებული. რუსულ ენაზე. მელანი. 1 გვ.

9. სახკინმრეწვის დირექციის მიერ გაცემული ვლადიმერ მუჯირის მანდატი, გრაფიკული და ხმოვანი მულტიპლიკაციის შესასწავლად ორი თვით მოსკოვში მივლინებასთან დაკავშირებით.

1933 წ. 22 თებერვალი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

მოწმობები

10. თბილისის კინოსტუდიის დირექტორის მოადგილე ხაჩიძის მიერ გაცემული მოწმობა, ვლადიმერ მუჯირის მოსკოვში, პრაქტიკაზე ოთხი თვით მივლინებასთან დაკავშირებით.

1939 წ. 9 სექტემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელს აწერენ: ხაჩიძე, პოლოსოვი. 1 გვ.

11. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს ტექანყოფილების მიერ გაცემული მოწმობა, ვლადიმერ მუჯირის მეშვეობით აპარატ VII -2 ვიწრო ფირის გახსნასა და ექსპლუატაციაში გაშვებასთან დაკავშირებით.

1940 წ. 31 დეკემბერი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. ბეჭედი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 გვ.

12. თბილისის კინოსტუდიის მიერ გაცემული ვლადიმერ მუჯირის მოწმობა, მულტფილმ – “ოქროს ბიბილოს” ირგვლივ შექმნილი პრობლემების მოსაგვარებლად, მოსკოვში მივლინებასთან დაკავშირებით.

1947 წ. 24 ივნისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

დახასიათება

13. თბილისის კინოსტუდიის დირექტორ მ. კვესელავას მიერ გაცემული, ვლადიმერ მუჯირის დახასიათება.

უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელს აწერს – მ. კვესელავა. 1 გვ.

მიმართვები

14. ზუგდიდის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის გამგის გვასალიას მიმართვა საქართველოს სახკინოკომიტეტისადმი, ვლადიმერ მუჯირის ლენინგრადის საინჟინრო ხმოვანი კინოს ინსტიტუტში მივლინებასთან დაკავშირებით.

1931 წ. 12 აგვისტო. ხელნაწერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

15. სახკინმრეწვის ფაბრიკის დირექტორ ხაჩიძის მიმართვა მოსკოვის საკავშირო მულტიპლიკაციის საამქროს დირექციისადმი, ამავე საამქროში ვლადიმერ მუჯირის პრაქტიკანტად დაშვებასთან დაკავშირებით.

1933 წ. 24 თებერვალი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელს აწერენ: ფაბრიკის დირექტორი – ხაჩიძე, კანცელარიის მდივანი – ერისტოვა (ერისთავი). 1 გვ.

16. ვლადიმერ მუჯირის მიმართვა საქართველოს კინო-ფოტო მრეწველობის სამმართველოს სამკუთხედისადმი, „ტექნიკური მოწყობილობიდან“ სხვადასხვა ინვენტარის შეძენასთან დაკავშირებით.

პირი: თუთბერიძე.

1935 წ. ნაბეჭდი. 3 გვ.

17. თბილისის კინოსტუდიის რეჟისორ ვლადიმერ მუჯირის მიმართვა თბილისის კინოსტუდიის დირექტორ გიგოშვილისადმი, კინომატოგრაფიის შემდგომი მუშაობისთვის საჭირო ზომების მიღებასთან დაკავშირებით.

1939 წ. 1 მაისი. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

18. ვლადიმერ მუჯირის მიმართვა თბილისის კინოსტუდიის დირექტორ გიგოშვილისადმი, მულტფილმზე „სტადიონზე“ შეჩერებული მუშაობის განახლებასთან დაკავშირებით.

1939 წ. 26 ივლისი. ავტოგრაფი. მელანი. 7 გვ.

19. ვლადიმერ მუჯირის მიმართვა კინოსტუდიის დირექციისადმი, მულტსტუდიის დახურვის გამო, პარტიის ცკ-ში გასაჩივრებასთან დაკავშირებით.

1940 წ. 27 მარტი. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

20. თბილისის მულტსტუდიის ხელმძღვანელ ვლადიმერ მუჯირის მიმართვა მოსკოვის მხატვრული ფილმების წარმოების სამმართველოს უფროს ტიხონოვისადმი, მულტფილმ „ბელურა, დათუჩა და კუს“ გადაღებისა და მულტსაამქროს კაპიტალური რემონტისათვის საჭირო თანხების გადმორიცხვასთან დაკავშირებით.

1941 წ. 21 ივნისი. მოსკოვი. ნაბეჭდი. ხელს აწერს – ვლადიმერ მუჯირი. რუსულ ენაზე. 1 გვ. 2 ეგზ.

21. მოსკოვის მხატვრული ფილმების წარმოების სამმართველოს მიმართვა თბილისის კინოსტუდიის დირექტორ მიხეილ ჭიაურელისადმი, მულტფულმ „სამი მეგობარის“ ხარჯთაღრიცხვის ჩაბარებასთან დაკავშირებით.

1941 წ. 21 ივნისი. ხელნაწერი. ბეჭედი. რუსულ ენაზე. ასლი. 1 გვ.

22. მულტსექტორის უფროს რეჟისორ ვლადიმერ მუჯირის, რეჟისორ მ. ჭიაურელისა და მთავარი მხატვრის მ. სეხნიაშვილის მიმართვა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კინომატოგრაფიის სამმართველოს უფროს მაჭავარიანისადმი, მათ მიმართ გამოვლენილი ყურადღებისა და თანადგომის, აგრეთვე, იმ ხელისშემშლელი გარემოებების შესახებ, რაც აფერხებს მულტფილმების გადაღებასა და ხარისხის ამაღლებას.

1946 წ. 19 აპრილი. ხელნაწერი. ხელს აწერენ: ვლადიმერ მუჯირი, მიხეილ ჭიაურელი, მ. სეხნიაშვილი. მაჭავარიანის რეზოლუციით. 1 გვ.

23. ვლადიმერ მუჯირის მიმართვა თბილისის კინოსტუდიის დირექტორ მაჭავარიანისადმი, მულტსაამქროს გაუმართაობის გამო, მულტფილმ „ოქრის ბიბილოს“ გადაღებისათვის შექმნილ პრობლემებთან დაკავშირებით.

1946 წ. 9 სექტემბერი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

24. ვლადიმერ მუჯირის მიმართვა სასცენარო განყოფილებისადმი, მულტიპლიკაციური ფილმისთვის თემის წარდგენასთან დაკავშირებით.

უთარილო. ნაბეჭდი. 1 გვ.

25. ვლადიმერ მუჯირის მიმართვა სახკინმრეწვის მმართველ თუთბერიძისა და კინოსტუდიის დირექტორ კიკნაძისადმი, მულტსტუდიის მუშაობასთან დაკავშირებით.

უთარილო. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

თხოვნები

26. ვლადიმერ მუჯირის თხოვნა თბილისის კინოსტუდიის დირექტორ გიგოშვილისადმი, მოსკოვში საქმეზე გასამგზავრებლად, რამდენიმე დღით სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ. გიგოლასვილის დადებითი რეზოლუციით.

1936 5 აგვისტო. 1 გვ.

27. თბილისის კინოსტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელის მიხეილ ჭიაურელის თხოვნა მოსკოვის მხატვრული ფილმების სამმართველოსადმი, კოსკოვში მულტფილმების სცენარების დასამტკიცებლად ორი კვირით რეჟისორ ვლადიმერ მუჯირის მივლინებასთან დაკავშირებით.

1941 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

28. ვლადიმერ მუჯირის თხოვნა თბილისის კინოსტუდიის დირექტორ გ. მაჭავარიანისადმი, მულტფილმ „მამლაყინწა და ვარიას“ ესკიზებსა და „კადროვკაზე“ (ანაბეჭდები) მუშაობასთან დაკავშირებით.

1945 წ. 16 სექტემბერი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

29. ვლადიმერ მუჯირის თხოვნა სახკომსაბჭოსთან არსებულ გამომგონებელთა კომიტეტისადმი, მის მიერ წარდგენილ რაციონალურ წინადადებაზე, დასკვნის დადებასთან დაკავშირებით.

უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. მელანი. 8 გვ.

ბრძანება, ცნობები

30. საქართველოს კინომრეწველობისა და კინოფიკაციის ტრესტის დირექციის მიერ გაცემული ბრძანება, მულტიპლიკაციური ფილმის „გაიძვერას“ ჩაბარების მიზნით ვლადიმერ მუჯირის მოსკოვში მივლინებასთან დაკავშირებით.

1937 წ. 15 მაისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

31. თბილისის კინოსტუდიის მიერ გაცემული ბრძანებიდან ამონაწერი, ვლადიმერ მუჯირისათვის საყვედურის მოხსნასთან დაკავშირებით, რომელიც 1939 წლის 27 ივლისს გამოცხადა ინჟინერ წულეისკირის შეურაწყოფასთან დაკავშირებით.

1940 წ. 2 ივლისი. თბილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერს კინოსტუდიის კანცელარიის გამგე – ცინცაძე. 1 გვ.

32. შრომა-გასწორების კოლონიის სამმართველოს მიერ გაცემული ცნობა, 1945 წლის 7 აგვისტოს ვლადიმერ მუჯირის პატიმრობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით.

1945 წ. 7 აგვისტო. ნაბეჭდი. ბეჭედი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

33. მოსკოვის მხატვრული ფილმების წარმოების სამმართველოს ხელმძღვანელ იცკოვის მიერ გაცემული ცნობა, ვლადიმერ მუჯირის მიერ მულტფილმების საწარმოებიდან 6000 ფუნჯის შეძენასთან დაკავშირებით.

1947 წ. 10 დეკემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

განცხადებები

34. ვლ. მუჯირის განცხადება, მულტიპლიკაციური ფილმების წარმოების ჯგუფის დირექტორ ეროხინისადმი, მულტფილმის „გაიძვერას“ ეკონომიურად და დროულად დამთავრებასთან დაკავშირებით, პრემიის გამოყოფის შესახებ.

1937 წ. 29 ივნისი. ავტოგრაფი. მელანი. წითელი, ლურჯი. ჩასწორებებით. 1 გვ.

35. ვლადიმერ მუჯირის განცხადება, სახკინმრეწვის სასცენო განყოფილების გამგე – თორაძისადმი, კარსანიძის მიერ წარმოდგენილი “ნიკო და ციკოს” სცენარის მიწოდებასთან დაკავსირებით.

1937 წ. 7 ივლისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

36. ვლადიმერ მუჯირის განცხადება, სახკინმრეწვის დირექტორის მოადგილე – ხაჩიძისადმი, გადასაღები აპარატის უვარგისობის გამო, ახალი დანადგარის ნაღდი ანგარიშსწორებით შეძენასთან დაკავსირებით.

1937 წ. 3 სექტემბერი. ავტოგრაფი. შავი მელანი. 1 გვ.

37. ვლადიმერ მუჯირის განცხადება თბილისის კინოსტუდიის დირექტორ გიგოშვილისადმი, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ.

1939 წ. 19 ნოემბერი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

38. ვლადიმერ მუჯირის განცხადება კინოსტუდიის დირექტორ გიგოშვილისადმი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ.

1940 წ. 28 მარტი. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.

მოხსენებითი ბარათი, აქტები, დასკვნა

39. ვლადიმერ მუჯირის მოხსენებითი ბარათი თბილისის კინოსტუდიის დირექტორ გიგოშვილისადმი, ფილმის „სტადიონზე“ დროულად ჩასაბარებლად ხარჯთაღრიცხვისა და სურათზე მუშაობის კალენდარული გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით.

1939წ. 31 მაისი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

40. კინოსტუდიის ლაბორატორიის მიერ გაცემული აქტი ლაბორატორიაში მულტფილმ „ჩიორას“ მზადებასთან დაკავშირებით.

1939 წ. 26 თებერვალი. ნაბეჭდი. 1 გვ.

41. თბილისის კინოსტუდიის მიერ შექმნილი აქტი, ხმოვან ფილმ „ოქროს ბიბილოს“ ფირის ტექნიკურ და ფოტოგრაფიულ გამართვასთან დაკავშირებით.

1947 წ. 18 ოქტომბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: მმართველი - მასსი, კონტროლიორი – ლიხოტნიკი. 1 გვ.

42. მოსკოვის მხატვრული ფილმების II მთავარი სამმართველოს უფროს ტიხონოვის დასკვნა მულტსცენარზე „გაზაფხულის სტუმრები“.

1946 წ. 23 დეკემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

სტენოგრამა

43. თბილისის კინოსტუდიის სამხატვრო საბჭოს სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში.

ვლ. მუჯირის მულტსცენარ „ოქროს ბიბილოს“ განხილვასთან დაკავშირებით.

პირი: მაჭავარიანი, ტ. რონდელი, დოლიძე.

1946 წ. 26 სექტემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 6 გვ.

სიგელი

44. საევაკუაციო ჰოსპიტლის დირექციის მიერ გაცემული სიგელი, ვლადიმერ მუჯირისადმი, ჯარისკაცების მიმართ თავდადებათა და ენთუზიაზმით მუშაობასთან დაკავშირებით.

1942 წ. 1 მაისი. სტამბური. ხელნაწრი. რუსულ ენაზე. 1 ც.

სცენარები

45. მულტიპლიკაციურ ფილმ „ნიკო და ციკოს“ სცენარი. ერთ ნაწილად. ავტორი – ვ. კარსანიძე.

1937 წ. 1 ივლისი. ნაბეჭდი. 6 გვ.

46. მულტიპლიკაციურ ფილმ „ოქროს ბიბილოს“ სცენარი. ავტორი – მდივანი. რეჟისორი – ვლადიმერ მუჯირი.

1945 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 17 გვ.

47. ფერადი მულტიპლიკაციური ფილმ „მშიშარა კურდღელის“ სცენარი. ავტორი – მიხეილ პაპავა, რეჟისორ ვლადიმერ მუჯირი. 1945 წ. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 19 გვ.

48. გრაფიკული მულტიპლიკაციური ფილმის – „როგორ გახდა ყვავი შავი“ სცენარი.

ავტორი – მდივანი, რეჟისორი – ვლადიმერ მუჯირი.

1945 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 17 გვ.

49. ფერადი მულტიპლიკაციური ფილმის – „ოქროს ბიბილოს“ სცენარი. ავტორები – აბაშიძე, მდივანი, დამდგმელი რეჟისორი – ვლადიმერ მუჯირი, მთავარი მხატვარი – მ. სეხნიაშვილი, ოპერატორი – ლ. კვალიაშვილი, კომპოზიტორი – რ. გაბიჩვაძე.

1947 წ. 25 ივნისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 9 გვ.

50. კინოსცენარ - „თქვენი ბედნიერება იყოს მეგობრებო!“ ლიბრეტო. ავტორები: ვლადიმერ მუჯირი, პ. პრაგერი.

1947 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 33 გვ.

51. მულტიპლიკაციურ ფილმ „გულნატკენი სათამაშოების“ სცენარი. სამუშაო ეგზემპლარი. ავტორი – სარა სპარსიაშვილი.

1948 წ. ნაბეჭდი. ჩასწორებებით. რუსულ ენაზე. 15 გვ.

52. მულტიპლიკაციურ ფილმ „მამაცი ალპინისტების“ სცენარი. ავტორი – ვლადიმერ მუჯირი.

1949 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 17 გვ.

53. მულტიპლიკაციურ ფილმის - „ღარიბი კაცის ბედნიერება“ სცენარი. (დიალოგები).

1951 წ. 16 აპრილი. ნაბეჭდი. 4 გვ. 2 ეგზ.

54. მულტიპლიკაციურ ფილმ „მფრინავი მეგობრების“ სცენარი. (1950 წ.). I ნაწილი. ავტორი – სარა სპარსიაშვილი.

უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 6 გვ. 2 ეგზ.

55. პოლიტ-ფელეტონ „ნიგერიას“ სცენარი. ავტორი – გრანოვსკი. სცენარისტები: ვლადიმერ მუჯირი, გ. სართანია, ი. გვასალია.

უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 9 გვ.

56. მცირეწლოვან ბავშვთა მულტიპლიკაციური ფილმის - „მელიას თავგადასავალი“ (ან „ფაშისტების მადები“) სცენარი.

უთარილო. ნაბეჭდი. ხელნაწერი. ქართულ და რუსულ ენებზე. 17 გვ.

57. მულტიპლიკაციურ ფილმ „მხიარულის“ სცენარი. ავტორები: ა. სამსონია, კ. ვაისერმანი.

უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 12 გვ.

58. სკოლამდელი ბავშვების მულტიპლიკაციური ფილმ - „ქორწილი პოლუსზე“ სცენარი.

ავტორი – ვლადიმერ მუჯირი.

უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 7 გვ.

59. მულტიპლიკაციური ფილმ - „აი, ისინიც - ომის გამჩაღებლების“ სცენარი. 1 მოქ.

უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 6 გვ.

60. ფერადი მულტიპლიკაციური ფილმ - „ღარიბი კაცის ბედნიერების“ სცენარი.

სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით. ერთვის სამონტაჟო ფურცლები.

უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 27 გვ. 2 ეგზ.

61. მულტიპლიკაციურ ფილმ „ორპირის“ სცენარი. ავტორი – ვ. კიზირია.
უთარილო. ხელნაწერი. მელანი. 40 გვ.

62. მულტიპლიკაციური ფილმ - „ციალას ლაშქრობის“ სცენარი. ავტორები – ბ. კუპრაშვილი.
კ. ბუაჩიძე.
უთარილო. ნაბეჭდი. 7 გვ.

63. მულტიპლიკაციური ფერადი ფილმ - „ჩვენი დღეების ზღაპარის“ ლიტერატურული
სცენარი. ავტორები: პეტრე მორსკოი, ვლადიმერ მუჯირი.
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 38 გვ.

64. მულტიპლიკაციური ფილმ - „დაუპატიჟებელი სტუმრების“ სცენარი. ავტორი – ლეო
ესაკია, კომპოზიტორი – ალ. ბუკია, ლექსი – დ. გაჩეჩილაძის.
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 23 გვ.

65. მულტიპლიკაციური ფილმის - „სადაც შენი დაიკვეხნო, იქაც ჩემი მოიგონე“ სცენარი.
ავტორი – ვლადიმერ მუჯირი.
უთარილო. ნაბეჭდი. 5 გვ. 2 ეგზ.

66. ფერადი მულტიპლიკაციური ფილმის „ლეგენდა ღამურაზე“ სცენარი. აკაკი წერეთლის
პიესა „ღამურას“ მიხედვით.
ავტორები: ვლადიმერ მუჯირი, პ. პრაგერი.
უთარილო. ხელნაწერი. მელანი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 18 გვ.

67. ლიტერატურული სცენარი მულტფილმისთვის „ლეგენდა ბაზალეთის ტბაზე“. ილია
ქავჭავაძის ლექსის „ბაზალეთის ტბა“ მიხედვით.
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 8 გვ. 2 ეგზ.

68. სცენარი - „მეთევზის შვილი“. ავტორი – გრ. ცეცხლაძე.
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 10 გვ.

69. მულტიპლიკაციური ფილმის „უცხო ქვეყანაში“ სცენარი. ვაჟა-ფშაველას მოთხრობის
მიხედვით.
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 13 გვ.

70. მულტიპლიკაციური ფილმის „ისტორიის გაკვეთილის“ სცენარი. ეძღვნება თბილისის
დაარსებიდან 1500 წლის იუბილეს.

უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 5 გვ. არასრული.

71. ფერადი მულტიპლიკაციური ფილმის „ოქროს აკვანის“ სცენარი. ავტორი ვ. კარსანიძე.
უთარილო. ნაბეჭდი 9 გვ.

72. მულტიპლიკაციური ფილმის „ჩხიკვთა ქორწილის“ სცენარი. ვაჟა-ფშაველას მოთხრობის მიხედვით.
უთარილო. ნაბეჭდი. 8 გვ.

73. სცენარი - „საშიში მხეცი“. ავტორი – ვლადიმერ მუჯირი. (ზღაპარი ყველა ასაკის ბავშვისთვის).
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 5 გვ.

74. მულტიპლიკაციური ფილმის „რწყილი და ჭიანჭველას“ სცენარი. ავტორი – მიხეილ ჭიაურელი.
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 9 გვ.

75. მულტიპლიკაციური ქართული ეროვნული ფილმის „სამი მეგობარის“ სცენარი. (უკანასკნელი ვარიანტი). ავტორი – შ. გედევანიშვილი.
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე.

76. მულტიპლიკაციური ფილმის „მხიარული სტუმრების“ სცენარი.
უთარილო. ნაბეჭდი. ხელს აწერს - ვლ. მუჯირი. რუსულ ენაზე. 19 გვ.

77. მულტიპლიკაციური ფილმის „ნიღბის ქვეშ“ სცენარი. თარგმანი – ა. ყანჩელის.
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

ჩანაწერები

78. ვლადიმერ მუჯირის ჩანაწერი - „უდიდესი ყურადღება ნორჩ მაყურებელს“, მულტიპლიკაციური ფილმების შექმნასთან დაკავშირებით.
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 15 გვ.

79. ვლადიმერ მუჯირის ჩანაწერი ქართულ მულტიპლიკაციაში ცვლილებებისა და სიახლეების დანერგვასთან დაკავშირებით.
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. 6 გვ.

მოხსენება, სტატია, ანოტაცია, მიმოხილვა

80. ვლადიმერ მუჯირის სტატია - „რა ღონისძიებაა საჭირო მომავალში, რომ მულტსტუდიის მუშაობა გაფართოვდეს და განმტკიცდეს“.

1937 წ. ნაბეჭდი. ხელს აწერს – ვლადიმერ მუჯირი. 3 გვ. 2 ეგზ.

81. ვლადიმერ მუჯირის სტატია - „На широкую дорогу“ („ფართო გზაზე“), ქართული მულტფილმების - „ოქროს ბიბილოს“, „გაზაფხულის სტუმრებისა“ და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

1947 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 5 გვ.

82. ვლადიმერ მუჯირის მოხსენება მულტიპლიკაციური ფილმის „კოლხიდას“ („არგონავტები“) შექმნასა და დამთავრებასთან დაკავშირებით.

პირი: ლ. გუგუშვილი (სცენარისტი), ლადო გუდიაშვილი (მხატვარი), შალვა აზმაიფარაშვილი (კომპოზიტორი), ლ. კვალიაშვილი (ოპერატორი), მ. ცერცვაძე, დ. დოლიძე, რ. ჭელიძე, მაღლაკელიძე.

1935 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. დაზიანებული. 3 გვ.

83. ვლადიმერ მუჯირის მიერ გაკეთებული მულტფილმის „ოქროს ბიბილოს“ მოკლე ანოტაცია.

1947 წ. 26 ივნისი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: ვლადიმერ მუჯირი, ა. ცვერიკი, კვესალავა. რუსულ ენაზე. 1 გვ.

84. ოპერატორ სარა სპარსიაშვილის მოკლე სტატია ვლადიმერ მუჯირის შემქმნელობითი მოღვაწეობის შესახებ.

უთარილო, ხელნაწერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 6 გვ.

ლექსები, სია

86. საბავშვო ლექსი _ „Путешествие по неволе“. ავტორი - ნ. დუბოვსკი.

1936 წ. 25 იანვარი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 16 გვ.

87. ვლადიმერ მუჯირის ლექსი, მიძღვნილი შვილის, ჯიმშერ მუჯირისადმი.

1940 წ. 1 მაისი. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

88. ვლადიმერ მუჯირის მიერ ექსპრომტად დაწერილი ლექსი.

1946 წ. იანვარი. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

89. ქართულიდან რუსულად ნათარგმნი უსათაურო ლექსი. ავტორი – ალექსანდრე ჩიმოვი.

უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 5 გვ.

85. თბილისის კინოსტუდიის საბავშვო ფილმების სცენარების სია.

(ბოლო გვერდზე - თამარ ქურციკიძის განცხადება, შავად ნაწერი).

უთარილო. ხეკნაწერი. მელანი. 4 გვ.

მოგონება

90. ჯიმშერ მუჯირის მოგონება ვლადიმერ (ლადო, კუკური) მუჯირის შესახებ - „მოგონებები შემოქმედზე და მამაზე“.

1987 წ. 12 ოქტომბერი. ნაბეჭდი. სამუშაო ვარიანტი. 140 გვ.

91. მხატვარ მ. ხუბაშვილის მოგონება ვლადიმერ მუჯირის შესახებ.

პირი: გრიშა ჩმუტოვი, მიშა სეხნიაშვილი, ნუცა თოფურიძე, ნაზი ტერიანი, ვახტანგ ბახტაძე, მიშა ხუბაშვილი, ეთერ ათანელაშვილი, ნინა როინიშვილი, ქეთო ქინქლაძე, ქსენია რეტკინა, გაბო ლავრელაშვილი, ბორია სტარიკოვსკი, პიპინაშვილი, ლუბა კვალიაშვილი, კოკი შანიძე, რომა ჭელიძე, სარა სპარსიაშვილი, ლადო გუდიაშვილი, რევაზ მირზაშვილი, ლავრენტი თოთაძე, ორდე დგებუაძე, ძაგული მაღლაკელიძე.

უთარილო. ავტოგრაფი. 4 გვ.

ეპისტოლარული მემკვიდრეობა ვლადიმერ მუჯირის წერილები სხვა პირისადმი

92. ვლადიმერ მუჯირის წერილი საკავშირო კინემატოგრაფიის კომიტეტისადმი, თბილისის კინოსტუდიიდან მულტსტუდიის გამოყოფასა და ცალკე დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით.

1939 წ. 13 სექტემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

93. ვლადიმერ მუჯირის წერილი საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივან კანდიტ ჩარკვიანისადმი, ქართული მულტიპლიკაციის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით.

1939 წ. 16 ნოემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

94. ვლადიმერ მუჯირის წერილი მოსკოვის კინემატოგრაფიის კომიტეტის უფროს ბოლშაკოვისადმი, მულტიპლიკაციის შემდგომი არსებობის განმტკიცებასთან დაკავშირებით.

1939 წ. 16 ნოემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

95. ვლადიმერ მუჯირის წერილი მოსკოვის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული კინემატოგრაფიის კომიტეტისადმი, კინოსტუდიასთან არსებული მულტფილმების სტუდიის აღდგენასა და (სტუდია დაიშალა 1939 წელს) კვალიფიციური თანამშრომლების დაბრუნებასთან დაკავშირებით.

უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

სხვა პირის წერილი ვლადიმერ მუჯირისადმი

96. რაფაელის პირადი ხასიათის წერილი მეგობარ ვლადიმერ მუჯირისადმი.

უთარილო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. მელანი. 1 გვ.

მოსაწვევი ბარათი

97. საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის მეორე გამართული ქართული ნახატი ფილმების ფუძემდებელ ვლადიმერ მუჯირის ხსოვნისადმი მიძღვნილი სადამოს მოსაწვევი ბარათი.

1971 წ. 18 ნოემბერი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

98. კინოთეატრებში „ოქტომბერსა“ და 26 კომუნარების სახელობის „რ. ლუქსემბურგის სახლში“ გამართული ხმოვანი ქართული მულტფილმის „არგონავტების“ („კოლხიდა“) სარეკლამო ფურცელი.

უთარილო. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

დეპეშები

99. თბილისის კინოსტუდიის დირექტორ გიგოშვილის დეპეშა მოსკოვის კინოკომიტეტის ხელმძღვანელ ბოლშაკოვისადმი, რეჟისორ ვლადიმერ მუჯირის, მხატვარ სეხნიაშვილის, ასისტენტ ჩმუტოვას მოსკოვში, საწარმოო პრაქტიკაზე, 8 თვით გაგზავნასთან დაკავშირებით.

1940 წ. 13 იანვარი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

100. თბილისის კინოსტუდიის დირექტორ მიხეილ ჭიაურელის დეპეშა მოსკოვის მხატვრული ფილმების მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელ პოლონსკისადმი, ვლადიმერ მუჯირის მოსკოვში მივლინებასთან დაკავშირებით.

1941 წ. 25 აპრილი. ნაბეჭდი. ფანქარი ხელს აწერს – მიხეილ ჭიაურელი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

101. თბილისის კინოსტუდიის დირექტორ მიხეილ ჭიაურელის დეპეშა მოსკოვის მხატვრული ფილმების მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელ პოლონსკისადმი, ვლადიმერ მუჯირის მოსკოვში მივლინებასთან დაკავშირებით.

1941 წ. 6 მაისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

102. თბილისის კინოსტუდიის დირექტორ მიხეილ ჭიაურელის დეპეშა მოსკოვის მხატვრული ფილმების მთავარი სამმართველოს მმართველ ტიხონოვისადმი, სცენარის დამუშავების დასამთავრებლად, მოსკოვში, 2 კვირის ვადით, რეჟისორ ვლადიმერ მუჯირის მივლინებასთან დაკავშირებით.

1941 წ. 22 მაისი. ნაბეჭდი. ბეჭედი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

103. საკავშირო კინემატოგრაფისტთა კავშირის დეპეშა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირისადმი, ვლადიმერ მუჯირის მიერ სახელმწიფო მაღაზიებში ფილმისთვის საჭირო მასალების შეძენასთან დაკავშირებით.

1947 წ. 12 აგვისტო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

104. მოსკოვის მხატვრული ფილმების წარმოების სამმართველოს უფროს სემიონოვის დეპეშა თბილისის კინოსტუდიისადმი, კაპიტლური რემონტის გამო, მულტფილმ „ოქროს ბიბილოს“ ჩბარების ვადის გადადებასთან დაკავშირებით.

1947 წ. 26 აგვისტო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

105. მოსკოვის კინემატოგრაფიის უფროს სემიონოვის დეპეშა თბილისის კინემატოგრაფიის მინისტრ მაჭავარიანისადმი, მულტფილმ „ოქროს ბიბილოს“ დადებით შეფასებასთან დაკავშირებით.

1947 წ. 10 დეკემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ. 2 ეგზ.

106. ვოლსკის დეპეშა ვლადიმერ მუჯირისადმი, კინოგაქირავების ნებართვით, 150 ასლის დაბეჭდვასთან დაკავშირებით.

1949 წ. 30 აგვისტო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

107. გუნის დეპეშა ვლადიმერ მუჯირისადმი, ჯაფარიძის სცენარის გამოგზავნასთან დაკავშირებით.

უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

სხვადასხვა

108. მოსკოვის მხატვრული ფილმების წარმოების სამმართველოს უფროს სემიონოვის წერილი საქართველოს კინემატოგრაფიის მინისტრ ვ. მაჭავარიანისადმი, რიგი შესწორებების

შეტანის შემდგომ, მულტფილმების - „მამაცი ტურისტები“ (ავტორები: ვლადიმერ მუჯირი, რ. პრაგერი) და „განრისხებული თოჯინები“ (ავტორი – სარა სპარსიაშვილი) სცენარების დამტკიცებასთან დაკავშირებით.

1947 წ. 13 დეკემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

109. ჯიმშერ მუჯირის სიმღერა „საახალწლო“. ნოტი. ტექსტი - გ. ჩხეიძის.

1958 წ. სტამბური. 4 გვ.

110. ვლადიმერ მუჯირის ვაჟის, ჯიმშერ მუჯირის წერილი ბახტაძისადმი ქართული მულტიპლიკაციის მოკლე ისტორიული მიმოხილვის შესახებ.

1984 წ. 19 იანვარი. ნაბეჭდი. 2 გვ.